*29.04.2014*
*იუსტიციის სამინისტრო*

# ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის

# მეხუთე შეხვედრის ოქმი

ოქმი მომზადებულია ღია მმართველობის პარტნიორობის ეროვნული კოორდინატორის, ქეთევან ცანავას მიერ

## *1. შეხვედრაზე განსახილველი საკითხები*

- ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წწ. სამოქმედო გეგმის პირველადი ვერსიის დეტალური განხილვა
- არასამთავრობო ორგანიზაციათა რეკომენდაციების წარდგენა
- სიახლეები ღია მმართველობის პარტნიორობის რეგიონული შეხვედრის შესახებ

## *2. ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის პირველადი ვერსიის დეტალური განხილვა*

საქართველო, როგორც ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მეორე ჯგუფის წევრი ქვეყანა, ვალდებულია, ღია მმართველობა საქართველოს მეორე ეროვნული სამოქმედო გეგმის (შემდგომში - სამოქმედო გეგმა) საბოლოო ვერსიის საერთაშორისო ასპარეზზე წარდგენამდე (2014 წლის 15 ივნისი), **2014 წლის 30 აპრილს** პარტნიორობის სამდივნოს წარუდგინოს **სამოქმედო გეგმის პირველადი პროექტი** შემდგომი კომენტარებისა და რეკომენდაციებისათვის.

ფორუმის მეხუთე სამუშაო შეხვედრა დაეთმო სამოქმედო გეგმის არსებული ვერსიის და მასთან დაკავშირებით ფორუმის შენიშვნების დეტალურ განხილვას. ფორუმმა იმსჯელა გეგმის თითოეულ ვალდებულებაზე, მათ შესაბამისობაზე OGP პრინციპებთან და გამოწვევებთან. შეფასდა ვალდებულებათა ინდიკატორები და შესრულების ეტაპები. ფორუმმა იმსჯელა თითოეული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ რისკებზე. განხილვის შედეგად, წარდგენილი რამდენიმე ვალდებულება OGP–ის პრინციპებთან შეუსაბამობის გამო ამოღებულ იქნა სამოქმედო გეგმიდან; ფორუმი შეთანხმდა სამოქმედო გეგმის ვერსიაზე, რომელიც ღია მმართველობის პარტნიორობის სამდივნოს წარედგინება.

## *3. არასამთავრობო ორგანიზაციათა რეკომენდაციების წარდგენა*

ფორუმის წევრმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ფორუმს წარუდგინეს რეკომენდაციები ახალი ვალდებულებების დამატებასთან დაკავშირებით. რეკომენდაციების განხილვა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან ერთად, გეგმის საბოლოო ვერსიის წარდგენამდე, ფორუმის სამუშაო შეხვედრების ფარგლებში დაიგეგმა.

არასამთავრობოთა რეკომენდაციები შედგება ოთხი ნაწილისგან: პირველი რეკომენდაცია ეხება პარლამენტის მიერ პეტიციების ელექტრონული სისტემის დანერგვას. მეორე რეკომენდაცია მოქალაქის საკანონმდებლო საქმიანობაში ჩართვის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად, ამისათვის, კი არასამთავრობოთა მოსაზრებით, მნიშვნელოვანია, საქართველოს პარლამენტმა ყველა მსურველს მისცეს შესაძლებლობა, გააკეთოს კომენტარი კანონპროექტებზე, ან უკვე არსებულ კანონებზე. მესამე რეკომენდაცია ეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, რაც ითვალისწინებს დანაშაულის კრიმინოგენული რუკის შექმნასა და საგზაო უსაფრთხოებისა და ინციდენტების შესახებ მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. არასამთავრობოთა ბოლო რეკომენდაცია მიყურადების შესახებ კანონმდებლობის გაუმჯობესებასა და პროაქტიულ გამჭვირვალობას უკავშირდება.

## *4. სიახლეები ღია მმართველობის პარტნიორობის რეგიონული შეხვედრის შესახებ*

ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს წარმომადგენლებმა ისაუბრეს 8–9 მაისს დუბლინში დაგეგმილი OGP-ის რეგიონული შეხვედრის და მასში საქართველოს დელეგაციის მონაწილეობის შესახებ. რეგიონულ შეხვედრის გახსნით სხდომაზე სიტყვით წარსდგება იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ალექსანდრე ბარამიძე საერთაშორისო საზოგადოებას გამოცდილებას გაუზიარებს ინფორმაციის თავისუფლების საკანონმდებლო რეფორმის შესახებ, ხოლო ანტიკორუფციული საბჭოს მდივანი რუსუდან მიხელიძე ღია მონაცემების შესახებ სესიის ფარგლებში სიტყვით წარსდგება და ისაუბრებს საქართველოს, როგორც ელექტრონულ მმართველობასა და ღია მონაცემებთან დაკავშირებულ საკითხებში ერთ-ერთი წარმატებული მაგალითის შესახებ. რუსუდან მიხელიძე ასევე წარადგენს საქართველოს ახალი სამოქმედო გეგმის პირველად ვერსიას.

ფორუმის შეხვედრაზე ასევე განხილულ იქნა ღია მმართველობის ჯილდოს კონკურსის პირობები, ღია მმართველობის პარტნიორობის სამეთვალყურეო კომიტეტის დაგეგმილი არჩევნები და მასში საქართველოს შესაძლო მონაწილეობის საკითხი.

## *5. ფორუმის შეხვედრას ესწრებოდნენ*

| | |
|---|---|
| იუსტიციის სამინისტრო | რუსუდან მიხელიძე, ქეთი ცანავა |
| სსიპ იუსტიციის სახლი | ირაკლი ლომიძე |
| სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო | ნატა გოდერძიშვილი, პაატა სირბილაძე |
| სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო | ნანა წიკლაური |
| სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო | თამარ გამყრელიძე, თამთა ცოცხალაშვილი |
| სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო | მანანა შურღულაია, გიორგი ლაცაბიძე |
| საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | პავლე ოკუჯავა |
| საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური | ზურაბ აზნაურაშვილი |
| სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური | კახა დემეტრაშვილი |
| შინაგან საქმეთა სამინისტრო | შალვა ხაბულიანი, კონსტანტინე ელიზბარაშვილი, ირინა ვადაჭკორია |
| USAID საქართველო | ლინა პანტელეევა, სოფიო გურგენიძე |
| ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია | სულხან სალაძე |
| საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო | თამარ გზირიშვილი, ეტიენ ბაკე, ლაშა გოგიძე |
| ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) | თამარა სართანია |
| ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) | გიორგი კლდიაშვილი, ლევან ავალიშვილი |
| ფონდი „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ | ქეთი მურუსიძე |
| ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“ | ვაკო ნაცვლიშვილი |
| ჯამფსტარტ საქართველო | ნინო მაჭარაშვილი |